



თარგმანი TRANSLATION

იუნუს ემრე - ლექსები

ასმათ ჯაფარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თბილისი, საქართველო, 0179, თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1,
+995599503356, japaridzeasmat@yahoo.com
Orcid ID : 0000-0001-6594-6049

აბსტრაქტი

იუნუს ემრე ცნობილი თურქი სუფი პოეტია. მისი დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში. წერდა რელიგიურ-მისტიკურ ლექსებს სადა, ხალხისთვის გასაგები ენით.

საკვანძო სიტყვები: ღმერთი; სამოთხე; ჯოჯოხეთი; სიყვარული; წუთისოფელი

თურქულიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ

დიდსულოვანო, მოწყალეო, უზენაესო, ხელს ვიწვდი შენკენ,
სხვა მე იმედად არვინ მეგულვის, ჩამჭიდე ხელი.
ცხოვრების თასი, პირთამდე სავსე, დავცალე უკვე,
ვინ არის იგი, ვინც კი ამ თასს შეუსმელს დაღვრის.

სული გაეხვია სევდის სამოსელში, მზერა ცისკენ მიინდა ვტყო-
რცნო,

ენადამუნჯებით შეგღადადებ, ღმერთო, ნუ დამტოვებ მარტო.

მიწის სამოსელი განვიძარცვე, დავტოვე სხეულის ჩარჩო,

ხელი არ გამიშვა, გვედრები, ჩემს სულს მხოლოდ შენ განდობ.

სიკვდილის სიცივე ჩემს ტანს მოხვევია, ნათესავთ დაუღვრიათ
ცრემლი,

მეგობრებს, ახლობლებს ვემშვიდობები და ღმერთისთვის ჩამი-
ვლია ხელი,

აგერ შავი კუბოც მოიტანეს, ის ხსნაა მიწიერ წნეხის,

ლოცვებს კითხულობენ, უფალს მავედრებენ, მე ვიცი, იქ ვიღაც
მელის.

აგერ ოთხი კაციც, ჩემი კუბო მიაქვთ, საფლავიც გათხარეს უკვე,

ნელ-ნელა უშვებენ კუბოს სამარეში, ესაა ჩვენი ყოფა თურმე,

მიწის გოროხს მომაცრიან და დააყენებენ ცრემლების გუბებს.

შენზე მონდობილი გვედრები, ღმერთო, ნუ წამართმევ ნუგემს.

უკვე ზეცაში ვარ თავგზაარეული, გზები დახლართული მიხ-
მობს,

აგერ ჯოჯოხეთი, იქით სამოთხეა, განკითხვის ჟამს არვინ
გინდობს.

სამსჯავრო გაუმართავთ ანგელოზებს, ჩანს, რომ იქ ყველა
მიცნობს,

ღმერთო, შენ მიაგე მათ პასუხი, მე, მე შეცდომილი, გიხმობ.

მიწაზე გულწრფელ ლოცვებს ადავლენენ,

მიწისგან შობილს მიწას აბარებენ,

მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ,

ანგელოზები ღმერთზე სწორებას გვავალებენ.

ღმერთო, უთქმელო და უცნაურო,

ხელი არ გამიშვა შენზე მღალადადებელს.

* * *

მომისმინეთ, მეგობრებო, მომისმინეთ,
ორიოდე სიტყვის თქმა მსურს სიყვარულზე.
თვით რჩეულნიც ხშირად ღირსნი ვერ ხდებიან,
რომ იარონ ამ წყალობის დადით გულზე.
მოვარდნილი ღვარცოფია სიყვარული,
წამლექავი ყველასა და ყველაფრისა,
ბუმბერაზ მთებს მყისიერად ფერფლად აქცევს,
თვით სულთანსაც უღელს ადგამს მონობისას.
ვნების ცეცხლით ზღვას ადუღებს სიყვარული,
ის ზვირთებად მოზღვავედება ჩვენს გულებში.
კლდე სიმღერად დაიდვრება მისი ძალით,
გამკლავება მასთან არის ურთულესი.
ბრძენკაცს რომ შლეგს დაამსგავსებს, ისეთია,
ზღვის ღრმა ტალღებს რომ გაატანს ჩასანთქმელად,
კოცონს ანთებს ჩვენს გულებში, გვწვავს და გვბუგავს,
კარებს გვიხსნის კაცთ სამყაროს აღსაქმელად.
ეჰ, იუნუს, საბრალოვ და უსუსურო,
ამ უღელის ზიდვა გმართებს მარად,
მძიმეა და თანაც ისე სანეტარო,
მეგობრებთან ლხინს რომ ახლავს.